ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2024 წლის 23 მაისის N 01-10/60 ბრძანების

დანართი N1

კოდიფიცირებულია ცვლილებებით:
№01-10/89, **24.10.2025 -** ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით

ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – „უნივერსიტეტი“ ან „ბსუ“) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის (შემდგომში „დეპარტამენტის“) დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებისათვის ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება დეპარტამენტში დასაქმებისათვის განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ბსუს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.
3. დეპარტამენტის უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
3.1. განათლება: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
3.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის <u>არანაკლებ 5 წლის</u> გამოცდილება, მათ შორის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წელი (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).
3.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:
ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ;
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ;
გ) კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიდან: „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება; ბსუ–ს სამართლებრივი აქტებიდან;
დ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; შინაგანაწესი; და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;
3.4. ენები/უნარები:
ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;
ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B1 დონე** (სასურველია ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა);
გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
დ) უნარები; პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.
4. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის/კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
4.1. განათლება: არანაკლებ მაგისტრის აკადემიური ხარისხი (ან მასთან გათანაბრებული ხარისხი);
4.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის <u>არანაკლებ 3 წლის</u> გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).

4.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:
ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ'';
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ ;
კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიდან:
გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;
ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:
დ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;
4.4. ენები/უნარები:
ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;
ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ B1 დონე** (**სასურველია** ინგლისური ენის **B2** ან მაღალ დონეზე ფლობა);
გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

5. კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსის ძირითადი **საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**
5.1. განათლება: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
5.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობის გამოცდილებას).
5.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:
ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ;
ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:
გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; და დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციები;
5.4. ენები/უნარები:
ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;
ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - **არანაკლებ A2 დონე** (სასურველია ინგლისური ენის **B1** ან მაღალ დონეზე ფლობა);
გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.
6. კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტის/წამყვანი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
6.1. განათლება: არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
6.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას).
6.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: საკანონმდებლო სამართლებრივი აქტებიდან:
ა) საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";
ბ) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ'';
ბსუ-ს სამართლებრივი აქტებიდან:

გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; დეპარტამენტის საქმიანობის მარეგულირებელი რეგულაციების ცოდნა;

6.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - არანაკლებ **B1 დონე** (სასურველია ინგლისური ენის **B2** ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.

7. დეპარტამენტის **კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტის/წამყვანი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:**

7.1. განათლება: არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

7.2. სამუშაო გამოცდილება: მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება სპორტის ან/და კულტურის მიმართულებით მუშაობის გამოცდილებას/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას;

7.3. სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები: ბსუ-ს სამართლებრივი აქტები: ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ასევე დეპარტამენტის/განყოფილების საქმიანობის მარეგულირებელი რეგულაციების ცოდნა;

7.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური -არანაკლებ **A2 დონე** (სასურველია ინგლისური ენის **B1** ან მაღალ დონეზე ფლობა);

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა.